

E - G O V E R N M E N T . G E

ს ა ი ნ ფ ო რ მ ა ც ი ო ფ უ რ ც ე ლ ი

მაისი, 2011 წელი, გამოშვება #4

გამოშვებაში
წაიკითხავთ

- 1 ბათუმში იუსტიციის სახლი გაიხსნა
- 2 ინფორმაციული უსაფრთხოების პოლიტიკა იუსტიციის სამინისტროში
- 2 ელექტრონული პირადობის მოწმობა
- 3 კიბერ ინციდენტზე რეაგირება
- 4 ელ. კანცელარიის პროგრამა აღსრულების ეროვნულ ბიუროში
- 4 ITU IMPACT ალიანსში გაწევრიანება
- 5 კანონი ინფორმაციის ერთიანი სახელმწიფო რეესტრის შესახებ
- 6 ეროვნული სივრცული მონაცემების ინფრასტრუქტურა
- 6 ელექტრონული დოკუმენტაციის სტანდარტი

ბათუმში იუსტიციის სახლი გაიხსნა



26 მაისს, საქართველოს დამოუკიდებლობის დღეს, ქ. ბათუმში საქართველოში პირველი იუსტიციის სახლი გაიხსნა. საზეიმო ცერემონიაში მონაწილეობდნენ საქართველოს პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი და იუსტიციის მინისტრი ზურაბ ადიუშვილი. ასევე სპეციალურად ამ დღისთვის საქართველოში ჩამოვიდა აზერბაიჯანის იუსტიციის მინისტრი ფიქრატ მამადოვი. მოწვეულ სტუმრებს შორის იყვნენ საკანონმდებლო, აღმასრულებელი და სასამართლო ხელისუფლების, საქართველოში აკრედიტებული დიპლომატიური კორპუსის, აგრეთვე - საერთაშორისო ორგანიზაციებისა და მედიის წარმომადგენლები.


იტალიელი არქიტექტორის მიკელე დე ლუკის მიერ დაპროექტებული შენობა ბათუმში ერთ წელიწადში აშენდა და მასში დღეიდან იუსტიციის სამინისტროს სხვა სამსახურებთან ერთად განთავსდება აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის პროკურატურა, კონტროლის პალატა. ბათუმისა და საქართველოს მოსახლეობას იუსტიციის სახლის გახსნა საქართველოს პრეზიდენტმა მიულოცა:

“ეს ულამაზესი შენობა, რომელიც დღეიდან ბათუმის ერთ-ერთ სახასიათო ღირშესანიშნაობად იქცევა, წარმოადგენს არა მხოლოდ არქიტექტურულ შედეგს, არამედ შედეგს სახელმწიფოსა და მოქალაქეებს შორის ურთიერთობის საქმეში.“ - განაცხადა მ. სააკაშვილმა.

ცერემონიის დასრულების შემდეგ სტუმრებმა იუსტიციის სახლის ახალი შენობა დაათვალიერეს.

იმავე დღეს, დამოუკიდებლობის დღესთან დაკავშირებით იუსტიციის მინისტრის მოადგილეს, გიორგი ვაშაძეს გადაეცა ბრწყინვალეების საპრეზიდენტო ორდენი საჯარო სექტორში ინოვაციების დანერგვის პროცესში შეტანილი პირადი ღვაწლისათვის.

ახალი ქართული ბრენდი - იუსტიციის სახლი არის იუსტიციის სამინისტროს სერვისების სრულიად ახალი კონცეფციის მქონე საჯარო დაწესებულება, სადაც სამოქალაქო რეესტრის სააგენტოს, საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს, ეროვნული არქივის, აღსრულების ეროვნული ბიუროს, ნოტარიუსთა პალატის, საკანონმდებლო მაცნეს, იუსტიციის სასწავლო ცენტრის სერვისები არა მექანიკურად, არამედ - იდეურად და სისტემურად არის გაერთიანებული. მყუდრო, სასაიამოვნო და კომფორტული გარემო, მაღალკვალიფიციური, კომპეტენტური და კეთილგანწყობილი პერსონალი მომხმარებელთა თავაზიან, სწრაფ და ხარისხიან მომსახურებას უზრუნველყოფს. იუსტიციის სახლები მიმდინარე წელს რუსთაველი, მესტიის, ქუთაისში გაიხსნება. 2012 წელს კი მისი გახსნა უკვე თბილისშია დაგეგმილი.



www.justice.gov.ge



www.house.gov.ge



www.cra.gov.ge



www.napr.gov.ge



www.nbe.gov.ge



www.matsne.gov.ge



www.e-government.ge



www.tbilisi.gov.ge



www.rs.ge



www.mof.ge

საქართველოს იუსტიციის სამინისტროში ინფორმაციული უსაფრთხოების პოლიტიკის დანერგვის პროცესი დაიწყო

მონაცემთა გაცვლის სააგენტოს მიერ შემუშავებული ინფორმაციული უსაფრთხოების პოლიტიკა საქართველოს იუსტიციის სამინისტრომ 2010 წლის დეკემბერში დაამტკიცა, რომელიც განსაზღვრავს ქმედებებისა და სტანდარტების კომპლექსს ინფორმაციული უსაფრთხოების ეფექტური მართვის მიმართულებით.



მიმდინარე წელს იუსტიციის სამინისტრომ მონაცემთა გაცვლის სააგენტოსთან ერთად დაიწყო აქტიური ქმედებები პოლიტიკით განსაზღვრული მოთხოვნების უზრუნველყოფის მიზნით: შექმნა დანერგვის გეგმა, შეიკრიბა ინფორმაციული უსაფრთხოების საბჭო, განისაზღვრა ინფორმაციული უსაფრთხოების მართვის პასუხისმგებელ პირთა ჩამონათვალი.

„ინფორმაციული უსაფრთხოების პოლიტიკა პირველად საქართველოს იუსტიციის სამინისტროში ინერგება. ამავე სამინისტროს მმართველობის სფეროში შემავალი მონაცემთა გაცვლის სააგენტო აღნიშნული პოლიტიკის შექმნაზე აქტიურად მუშაობდა, რის შედეგადაც ჩამოყალიბდა დოკუმენტის საბოლოო ვარიანტი. ნებისმიერი საჯარო თუ კერძო ორგანიზაციისთვის დიდი მნიშვნელობა აქვს ინფორმაციული უსაფრთხოების ერთიანი სტანდარტების გათვალისწინებას, რაც საშუალებას მოგვცემს უფრო ეფექტურად ვმართოთ ის რისკები, რაც დაკავშირებულია ელექტრონული მონაცემების შენახვასა და დაცვასთან. იუსტიციის სამინისტროს გარდა ახლო მომავალში აღნიშნული პოლიტიკა ამოქმედდება ამავე სამინისტროს დაქვემდებარებაში შემავალ საჯარო და სამოქალაქო რეესტრებში, ასევე სხვა სახელმწიფო სტრუქტურებში.“ - **ირაკლი გვენეტაძე**, მონაცემთა გაცვლის სააგენტოს თავმჯდომარე.

ელექტრონული პირადობის მოწმობა



საქართველოს იუსტიციის სამინისტროს ორგანიზებით, სასტუმრო „ქორთიარდ მარიოტში“, ორდღიანი კონფერენცია - „საქართველოს ელექტრონული პირადობის მოწმობა“ გაიხსნა.

კონფერენცია საქართველოს პრემიერ-მინისტრმა ნიკა გილაურმა გახსნა. ღონისძიებას ესწრებოდნენ: იუსტიციის მინისტრის მოადგილე, სამოქალაქო რეესტრის სააგენტოს თავმჯდომარე გიორგი ვაშაძე, ფინანსთა მინისტრის მოადგილე, შემოსავლების სამსახურის უფროსი - ჯაბა ებანოიძე და საქართველოს მთავრობის სხვა წევრები. ღონისძიების მხარდამჭერები არიან აშშ-ის საერთაშორისო განვითარების სააგენტოს პროგრამა - ეკონომიკური აღმავლობის ინიციატივა და საქართველოს ICT ბიზნეს საბჭო.

საქართველოში იწყება უპრეცედენტო პროექტი - მიმდინარე წლის ზაფხულიდან დაიწყება ელექტრონული ID ბარათების გაცემა. ეს არის პროექტი, რომელიც მთლიანად შეცვლის და გაამარტივებს მოქალაქეების ყოველდღიურ ცხოვრებას; ეს არის სახელმწიფო სერვისების სრული ავტომატიზაციის საშუალება და ოცდამეერთე საუკუნის, პროაქტიული სერვისებზე გადასვლის შესაძლებლობა. ID ბარათების შემოღებით საქართველო გახდება სამაგალითო ქვეყანა ელექტრონული მმართველობის კუთხით.

კონფერენციის პირველი დღე ელექტრონული პირადობის მოწმობის პრეზენტაციას დაეთმო, კომპანია „მიულბაუერის“ წარმომადგენელმა მარკო ვანდერვიდმა შეხვედრაზე ელექტრონული ბარათების პროექტი წარმოადგინა, კონფერენციის მონაწილეებმა პირველად ნახეს, თუ როგორი იქნება ქართული ელექტრონული პირადობის მოწმობა. გერმანული კომპანია „მიულბაუერი“ ქართული ელექტრონული პირადობის მოწმობების დამზადებისა და პერსონალიზაციის სისტემის დანერგვას ახორციელებს.

„ჩვენი მიზანია მოსახლეობას და კერძო ბიზნესს სახელმწიფოსთან ურთიერთობა გავუადვილოთ. ეს მართლაც გაკეთდა, რასაც ადასტურებს, როგორც იუსტიციის სამინისტროს, ასევე საგადასახადო და პოლიციის რეფორმა. შემდეგი ნაბიჯი უკვე არის ელექტრონული ბარათების სისტემაზე გადასვლა, რომელიც კიდევ ერთი წინ გადადგმული ნაბიჯი იქნება ამ რეფორმების გზაზე.“ - განაცხადა **გილაურმა**.

(გაგრძელება გვ. 3)

როგორც გიორგი ვაშაძე განმარტავს, ID ბარათების პროექტის განხორციელებით საქართველო რეგიონში ერთადერთი ქვეყანა გახდება, ვინც მსგავსი ინოვაცია განახორციელა.

მისი თქმით, ID ბარათით საშუალება გვექნება სახელმწიფო სექტორში არსებული ყველა სერვისი ონლაინ რეჟიმში გადავიდეს და სხვადასხვა მომსახურების მისაღებად ამა თუ იმ უწყების ოფისებში მისვლა საჭირო აღარ გახდეს.

„ჩვენ ახლაც ვართ სამაგალითო ქვეყანა რეფორმების კუხით, ხოლო ID პროექტი კიდევ უფრო გაზრდის ინტერესს საქართველოსადმი“ – განაცხადა გიორგი ვაშაძემ.

შეხვედრაზე ესტონეთისა და ლიტვის დელეგაციების წარმომადგენლებმა ქართველ კოლეგებს საკუთარი გამოცდილება გაუზიარეს, ესტონეთსა და ლიტვაში მოქმედი ელექტრონული ბარათები წარმოადგინეს და სახელმწიფო და კერძო სექტორებში მათ ფუნქციონირებაზე ისაუბრეს.

მონაცემთა გაცვლის სააგენტომ კომპიუტერულ ინციდენტზე რეაგირება მოახდინა



2011 წლის იანვრიდან საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მონაცემთა გაცვლის სააგენტოში ფუნქციონირება დაიწყო კომპიუტერულ ინციდენტებზე სწრაფი რეაგირების ჯგუფმა (CERT), რომელიც დაკომლპექტდა სპეციალური კვალიფიკაციის მქონე პროფესიონალი კადრებით. ჯგუფის მიზანია ხელი შეუწყოს ქვეყანაში კიბერ უსაფრთხოების დონის გაუმჯობესებას, მოახდინოს რეაგირება გარე და შიდა კომპიუტერულ ინციდენტებზე, აწარმოოს თითოეული მათგანის აღრიცხვა, მიანიჭოს კლასიფიკაცია, გააკეთოს ანალიზი და მოახდინოს ამა თუ იმ საფრთხის გაუვნებელყოფა.

კომპიუტერულ ინციდენტებზე სწრაფი რეაგირების ჯგუფი აქტიურად შეუდგა მუშაობას. 2011 წლის მაისში საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მონაცემთა გაცვლის სააგენტოს ინფორმაციული უსაფრთხოების სამმართველოს მიმართა ერთ-ერთმა კერძო კომპანიამ, რომელიც ინტერნეტ-ჰოსტინგის მომსახურების სფეროში მუშაობს.

კომპანიის წარმომადგენლის განცხადებით, მათი ორგანიზაციის კერძო რესურსები, სავარაუდოდ კიბერ შეტევების გამო, სათანადოდ ვერ ფუნქციონირებდა. პროცესში ჩაერთო მონაცემთა გაცვლის სააგენტოს კომპიუტერულ ინციდენტებზე რეაგირების ჯგუფი (CERT).

მიღებული ინფორმაციის გაანალიზების შედეგად დადგინდა, რომ აღნიშნული კომპანიის ქსელური რესურსების მიმართ ხორციელდებოდა DDoS (Distributed Denial of Service) ტიპის კიბერ შეტევა. შეტევის მიზანი იყო სისტემის მწყობრიდან გამოყვანა და ფუნქციონირების შეწყვეტა.

ჯგუფმა ჩაატარა ინციდენტის სრული ტექნიკური ანალიზი, რის შედეგადაც დაზარალებულ კომპანიას გადაეგზავნა მითითებები მდგომარეობის გამოსასწორებლად. აღნიშნული ინფორმაციის გაცნობის შემდეგ კომპანიამ უმოკლეს დროში შეძლო ინციდენტის გაუვნებელყოფა.

“აღნიშნული ინციდენტი ცხადი მაგალითია იმისა, თუ რაოდენ საჭიროა ქვეყანაში კომპიუტერულ ინციდენტებზე სწრაფი რეაგირება ჯგუფის არსებობა. მონაცემთა გაცვლის სააგენტოს დაქვემდებარებაში არსებული ეს სტრუქტურა შეიძლება ითქვას, რომ უკვე სრული დატვირთვით მუშაობს სხვადასხვა რეგისტრირებული თუ პოტენციური საფრთხეების აღმოსაფხვრელად.” – ირაკლი ლომიძე, მონაცემთა გაცვლის სააგენტოს ინფორმაციული უსაფრთხოებისა და პოლიტიკის სამმართველოს უფროსი.

აღსრულების ეროვნული ბიურო მოქალაქეებს გაუმჯობესებულ ელექტრონულ მომსახურებას სთავაზობს

აღსრულების ეროვნულმა ბიურომ ახალი ელექტრონული (კანცელარიის) პროგრამის პრეზენტაცია გაიმართა. კანცელარიის პროგრამის მეშვეობით მოქალაქეები, რომლებიც აღსრულების ეროვნულ ბიუროს განცხადებით მომართავენ, განცხადებაზე პასუხს ელექტრონულად მიიღებენ. ახალი პროგრამა აღსრულების ეროვნული ბიუროს ვებ-გვერდზე, ბანერის სახითაა განთავსებული.

განცხადების შემომტანი პირები განცხადების შემოტანისთანავე უნიკალურ 15-ციფრიან პინ-კოდს მიიღებენ. განცხადებაზე პასუხის მისაღებად განმცხადებელმა მიღებული კოდი აღსრულების ეროვნული ბიუროს კანცელარიის პროგრამის ფანჯარაში უნდა შეიყვანოს, რის შემდეგაც ის ონ-ლაინ რეჟიმში მიიღებს პასუხს, რომელსაც მინიჭებული აქვს უნიკალური კოდი და იურიდიული ძალა გააჩნია.

ახალი სერვისი მოქალაქეებს აღსრულების ეროვნულ ბიუროსთან ურთიერთობას გაცილებით უმარტივეს და ზოგავს მათ დროს და ენერჯიას. გარდა ამისა, განცხადებაზე პასუხის ჩაბარებას სწრაფად, უმოკლეს ვადაში უზრუნველყოფს. თუმცა მოქალაქეს აქვს შესაძლებლობა აირჩიოს განცხადების მიღების სასურველი ფორმა და ელექტრონული ფორმის ნაცვლად განცხადებაზე პასუხი მიიღოს ფოსტის, ან აღსრულების ეროვნულ ბიუროში მოსვლის გზით.

აღსრულების ეროვნული ბიურო ახალი ელექტრონული სერვისების შეთავაზებას მოქალაქეებისთვის მომავალშიც გააგრძელებს და მომხმარებელს არაერთ ახალ ელექტრონულ სერვისს წარუდგენს.

მონაცემთა გაცვლის სააგენტო ITU IMPACT ალიანსის წევრი გახდა



საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მონაცემთა გაცვლის სააგენტო გაერთიანებული ერების ორგანიზაციის დაქვემდებარებაში არსებული საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების სააგენტოს (ITU) IMPACT ალიანსის წევრი გახდა.

ალიანსის წევრობა მონაცემთა გაცვლის სააგენტოს საშუალებას მისცემს მჭიდროდ თანამშრომლობს მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნის ორგანიზაციებთან, რომლებიც კიბერ უსაფრთხოების საკითხებზე მუშაობენ. ამასთან, სააგენტოსთვის ხელმისაწვდომი გახდება ყველა ის პრაქტიკული გამოცდილება და თეორიული ცოდნა, რომელსაც გაეროს საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების სააგენტო უყრის თავს.

„მოხარულნი ვართ, რომ ამ პრესტიჟულმა სააგენტომ ჩვენთან თანამშრომლობის სურვილი დაადასტურა. ეს საშუალებას მოგვცემს კიდევ უფრო ახლოს გავეცნოთ კიბერუსაფრთხოების საკითხებთან დაკავშირებულ უახლეს გამოცდილებას და პრაქტიკას, რაც ჩვენი სამომავლო საქმიანობისათვის ძალზედ მნიშვნელოვანია.“ - **ირაკლი გვენეტაძე**, მონაცემთა გაცვლის სააგენტოს თავმჯდომარე.

საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მონაცემთა გაცვლის სააგენტო ალიანსის ფარგლებში უკვე იწყებს აქტიურ თანამშრომლობას. ახლო მომავალში სააგენტოს 4 თანამშრომელი და სააგენტოსვე წარდგინებით 2 პარტნიორი ორგანიზაციის წარმომადგენელი ITU IMPACT ალიანსის მიერ ორგანიზებულ ტრენინგს გაივლის, რაც კიდევ ერთი წინგადადგმული ნაბიჯი იქნება ინფორმაციული უსაფრთხოების სპეციალისტების პროფესიული ზრდისა და განვითარების საქმეში.

Impact-ის შესახებ: საერთაშორისო მრავალმხრივი პარტნიორობა კიბერ დანაშაულის წინააღმდეგ (**The International Multilateral Partnership Against Cyber Threats (IMPACT)**) წარმოადგენს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის სპეციალიზებული სააგენტოს - საერთაშორისო სატელეკომუნიკაციო კავშირის (ITU) ორგანოს. როგორც მსოფლიოს პირველი სრულყოფილი ალიანსი, **IMPACT-ი** თავს უყრის სხვადასხვა ქვეყნების სამთავრობო და აკადემიურ წრეებს, ასევე სფეროს ექსპერტებს, რათა უფრო ეფექტური გახდეს გლობალური კიბერ დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლა.

კანონი ინფორმაციის ერთიანი სახელმწიფო რეესტრის შესახებ

უკანასკნელი წლებში სხვადასხვა საჯარო სამსახური სულ უფრო ინტენსიურად იყენებს ინფორმაციული ტექნოლოგიების შესაძლებლობებს თავის ყოველდღიურ საქმიანობაში და მოსახლეობასთან ურთიერთობაში. ამასთან, მრავალი საინფორმაციო სისტემის ერთობლივი მუშაობა იწვევს ინფორმაციის ნაკადის ზრდას, და, შესაბამისად, წარმოშობს სახელმწიფოს მიერ შეთავაზებული სხვადასხვა ელექტრონული მომსახურების ერთმანეთში კოორდინაციის აუცილებლობას.

ამ მიზნების გადასაწყვეტად, საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მმართველობაში შემავალი სსიპ მონაცემთა გაცვლის სააგენტოს ინიციატივით, მომზადდა კანონი „ინფორმაციის ერთიანი სახელმწიფო რეესტრის შესახებ“. ამ ინიციატივის არსია აღწეროს საქართველოს საჯარო სექტორში არსებული საინფორმაციო რესურსები და შექმნას ქვეყანაში არსებული მონაცემთა ბაზების, რეესტრების, საინფორმაციო სისტემებისა და მომსახურების ერთიანი კატალოგი – ე.წ. „ინფორმაციის ერთიანი სახელმწიფო რეესტრი“. კანონი პარლამენტის მიერ მიღებული იქნა 2011 წლის საგაზაფხულო სესიაზე და ძალაში შედის 2011 წლის 1 ივნისს.

კანონის მომზადებამდე ჩატარდა სხვადასხვა ქვეყნების გამოცდილების კვლევა. ამ მხრივ ყველაზე თავსაჩინოდ და სამაგალითოდ მიჩნეულ იქნა უნგრეთისა და ესტონეთის მიერ დანერგილი ერთიანი რეესტრები. ამ ქვეყნებში, ინფორმაციის ერთიანი სახელმწიფო რეესტრი, გარდა აღწერილობითი ფუნქციისა, ასევე ითავსებს სახელმწიფო სექტორში ინფორმაციის შექმნის, დამუშავებისა და გაცემის მაკოორდინირებელ როლს. სწორედ ამ სამომვლო მიზანს ითვალისწინებს საქართველოს კანონი „ინფორმაციის ერთიანი სახელმწიფო რეესტრის შესახებ“. კერძოდ, კანონმა მომვალაში უნდა დაადგინოს სახელმწიფო დაწესებულებებში ინფორმაციასთან მუშაობის ერთიანი სტანდარტები, რაც გაზრდის სხვადასხვა უწყებათა მუშაობის შეთანხმებულობას და დაზოგავს საჯარო რესურსებს.


ამ ამოცანების განხორციელების მიზნით, კანონი „ინფორმაციის ერთიანი სახელმწიფო რეესტრის შესახებ“ გვთავაზობს მთელ რიგ ახლებურ განმარტებას, თუ რა არის მონაცემი, მონაცემთა ბაზა, საინფორმაციო სისტემა, რეესტრი, კატალოგი და მრავალი სხვა ტექნიკური, მაგრამ აუცილებელი ტერმინი.

კანონპროექტის მთავარ არსს წარმოადგენს სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოებზე ვალდებულების დაკისრება, ერთიან რეესტრში დაარეგისტრიროს მის ხელთ არსებული სხვადასხვა მონაცემთა ბაზა, რეესტრი, ინფორმაციული სისტემა და ელექტრონული მომსახურება. რეგისტრაცია ხორციელდება წინასწარ დადგენილი ფორმის შესაბამისად, რომლითაც განისაზღვრება იმ ინფორმაციის ზუსტი ჩამონათვალი, რომელიც ერთიან რეესტრს უნდა მიეწოდოს. რეგისტრაციას ასევე საჭიროებს ნებისმიერი მნიშვნელოვანი ცვლილება, განვრცობა, კომბინირება (გაერთიანება), გაუქმება, განადგურება და სხვა მოქმედება, რომლითაც იცვლება საჯარო დაწესებულებაში არსებული მონაცემთა ბაზა, რეესტრი თუ სხვა ინფორმაციული რესურსი. ყველა ეს შეტყობინება მიეწოდება ერთიანი რეესტრის მწარმოებელს – მონაცემთა გაცვლის სააგენტოს.

კანონი ასევე ადგენს ინფორმაციული რესურსების (მონაცემთა ბაზა, რეესტრი, საინფორმაციო სისტემა და მომსახურება) წარმოების რამოდენიმე ძირითად წესს, რომელიც ხელს უწყობს ამ სფეროში ერთიანი მიდგომებისა და პრაქტიკის ჩამოყალიბებას. მათ შორის არის პერსონალურ მონაცემთა დაცვის საკითხები და ინფორმაციის საჯაროობის მიღებული წესების აღიარება. ამასთან, კანონის აღსრულება, ანუ კანონპროექტით დაკისრებულ ვალდებულებათა შესრულება გაკონტროლდება ისეთი ზომებით, როგორცაა მონაცემთა გაცვლის სააგენტოს მიერ გაცემული წერილობითი შეტყობინებები და რეკომენდაციები. საყურადღებოა, რომ ინფორმაციის ერთიან სახელმწიფო რეესტრში არ შედის და არ მუშავდება მონაცემები კერძო სამართლის პირების მონაცემთა ბაზების, რეესტრების, საინფორმაციო სისტემებისა და მომსახურების შესახებ.

ქვეყანაში არსებული მდგომარეობისა და ინფორმაციული ტექნოლოგიების დონისა და გავრცელებულობის გათვალისწინებით, ინფორმაციის ერთიანი სახელმწიფო რეესტრის ინიციატივა საკმაოდ დროულია. ერთიანი რეესტრის წარმოება ხელს შეუწყობს სახელმწიფო სექტორში მონაცემთა გაცვლის ეფექტურობის ზრდას და დაადგენს ინფორმაციასთან მუშაობის გარკვეულ სტანდარტებს, განსაკუთრებით იქ, სადაც ინფორმაციის მისაწვდომობა და ორგანიზებულობა განსაკუთრებით მნიშვნელოვანია როგორც სახელმწიფოსათვის, ისე მოსახლეობის ინტერესისათვის.

საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო ევროკომისიის TAIEX-ის პროგრამის ხელშეწყობით ეროვნული სივრცული მონაცემების ინფრასტრუქტურის გამართვას იწყებს



საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო მაისის თვეში მასპინძლობდა საფრანგეთის ნაციონალური გეოგრაფიის ინსტიტუტის (IGN) ექსპერტს ფლორიან ტომასს, რომელმაც ქართულ მხარესთან ერთად განიხილა საქართველოში ეროვნული სივრცული მონაცემების ინფრასტრუქტურის გამართვის საკითხები.

დღეისათვის ევროკავშირის ქვეყნები აქტიურად მუშაობენ ერთიანი სივრცული მონაცემების ბაზის განვითარებაზე, რაც გულისხმობს ამ მონაცემების ელექტრონული ვერსიების უნიფიცირებულ ბაზაში გაერთიანებას, რაც თავის მხრივ, ხელს უწყობს ქვეყნებს შორის სხვადასხვა კატეგორიის გეოგრაფიული მონაცემების ეფექტურ და დროულ გაცვლას.

„ევროპის გეოგრაფიული მონაცემების ბაზაში გაერთიანება საქართველოსთვის დიდი მნიშვნელობის მატარებელია. გარდა იმისა, რომ ქვეყნს შიგნით სხვადასხვა სახელმწიფო სტრუქტურები - იქნება ეს საჯარო რეესტრის მონაცემები, თავდაცვის სამინისტროს კარტოგრაფიული ინფორმაცია, დაცული ტერიტორიების სააგენტოში თუ გზების დეპარტამენტში არსებული მონაცემები ერთ ბაზაში გაერთიანდება და სხვადასხვა უწყებები საჭიროებისამებრ ეფექტურად შეძლებენ აღნიშნული მონაცემების ერთმანეთთან გაცვლას, პროექტი სხვა მხრივაც არის მნიშვნელოვანი - საქართველო ხდება ევროკავშირის ერთიანი გეოგრაფიული და სივრცული მონაცემების უნიფიცირებული ბაზის შემადგენელი ნაწილი, რაც კიდევ ერთი წინგადადგმული ნაბიჯია ჩვენი ქვეყნის ევროატლანტიკურ სივრცეში ინტეგრაციისკენ.“ - **ეკატიერინე მესხიძე**, იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს საერთაშორისო ორგანიზაციებთან ურთიერთობის სამსახურის უფროსი.

ელექტრონული დოკუმენტის ერთიანი სტანდარტი



ელექტრონული მმართველობა

ელექტრონული მმართველობის ერთ-ერთ მნიშვნელოვან ნაწილს სახელმწიფო უწყებებს შორის დოკუმენტების მიმოქცევის ავტომატიზაცია წარმოადგენს. ამ მიმართულებით საჯარო სექტორში საგრძნობი წინსვლა შეინიშნება. სხვადასხვა სახელმწიფო დაწესებულებების უმრავლესობაში უკვე არსებობს ელექტრონული დოკუმენტბრუნვის სისტემა. მათ შორის მნიშვნელოვანია აღნიშნულ დოკუმენტბრუნვის 4 ძირითადი სისტემა,

რომელიც შეიქმნა და მოქმედებს შემდეგ სახელმწიფო სტრუქტურებში: იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრი, შინაგან საქმეთა სამინისტრო, თავდაცვისა და ფინანსთა სამინისტროები.

ამ ეტაპზე საჯარო სამსახურის ბიუროს კოორდინირებითა და საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მონაცემთა გაცვლის სააგენტოს უშუალო მონაწილეობით ხორციელდება დოკუმენტის ერთიანი სტანდარტის შექმნა. პროექტში ჩართულნი არიან ზემოთ აღნიშნული ოთხივე სამინისტროს წარმომადგენლები და მათთან უშუალო კონსულტაციების მეშვეობით მიმდინარეობს საერთო სტანდარტის შემუშავება.

„სტანდარტის არსებობა საშუალებას მისცემს ყველა დაინტერესებულ უწყებას ერთმანეთში უსაფრთხოდ და უდანაკარგოდ გაცვალონ ოფიციალური დოკუმენტები. ეს პირველი ნაბიჯია ინფორმაციული სისტემების სტანდარტიზაციის მხრივ და მიმართულია ინფორმაციული სისტემების განვითარების ხელშეწყობისკენ. მიმდინარე პროექტის ფარგლებში უკვე მკაფიოდ გამოიკვეთა სხვადასხვა საერთო მოხმარების ინფორმაციული კატალოგებისა თუ მონაცემთა ბაზების არსებობის აუცილებლობა, რომლებიც გამოქვეყნდება მონაცემთა გაცვლის ინფრასტრუქტურის მეშვეობით.“ - **ირაკლი გვენეტაძე**, მონაცემთა გაცვლის სააგენტოს თავმჯდომარე.

მონაცემთა გაცვლის
სააგენტო

წმ. ნიკოლოზის/ნ. ჩხეიძის 2
თბილისი 0102, საქართველო
ტელ.: (+995 32) 91 51 40
ელ. ფოსტა: info@dea.gov.ge



სააგენტოს მიზანს წარმოადგენს საქართველოში ელექტრონული მმართველობის განვითარების საკითხების კოორდინირება, მონაცემთა გაცვლის ინფრასტრუქტურის შექმნა, ერთიანი სამთავრობო ქსელის ჩამოყალიბება და მონიტორინგი, საჯარო სექტორში ინფორმაციულ და საკომუნიკაციო სფეროსთან დაკავშირებული სტანდარტების შემუშავება, ინფორმაციული უსაფრთხოების პოლიტიკის ჩამოყალიბება და მისი გატარება.

მონაცემთა გაცვლის სააგენტოს ფუნქციები სამ ძირითად მიმართულებად იყოფა:

- ელექტრონული მმართველობა;
- მონაცემთა გაცვლის ინფრასტრუქტურა;
- ინფორმაციული უსაფრთხოება.

ელექტრონული მმართველობა

სახელმწიფო სტრუქტურების ადმინისტრირების და მათი ფუნქციების განხორციელების ეფექტური და თანამედროვე ფორმა, რაც მოიცავს: სახელმწიფოსა და მოქალაქეს, სახელმწიფოსა და კერძო სექტორს, ასევე სხვადასხვა სახელმწიფო სტრუქტურებს შორის ურთიერთობის ელექტრონულ ფორმებს. დღეისათვის სხვადასხვა სახელმწიფო უწყება უკვე ფლობს არაერთ მომსახურებას, რომელსაც ელექტრონული ფორმით სთავაზობს სხვადასხვა კატეგორიის მომხმარებლებს. ელექტრონული სერვისი წარმოადგენს სახელმწიფოს მიერ უზრუნველყოფილ ყველაზე იაფ, მოხერხებულ და სწრაფ მომსახურებას. მონაცემთა გაცვლის სააგენტოს ერთ-ერთი ფუნქციაა არსებული და სამომავლოდ დაგეგმილი მომსახურებების ერთიან სისტემაში მოქცევა და მათი ადმინისტრირება.

მონაცემთა გაცვლის ინფრასტრუქტურა

ეფექტური საშუალება საჯარო სექტორში არსებული მონაცემების კოორდინირებულად მართვის უზრუნველსაყოფად, რაც ასევე დაკავშირებულია ელექტრონული მმართველობის სრულყოფილად განვითარებასთან. ერთიანი სამთავრობო ელექტრონული ინფრასტრუქტურის შექმნა და მისი მონიტორინგი



ინფორმაციული უსაფრთხოება

როგორც ელექტრონული მმართველობის, ისე მონაცემთა გაცვლის ინფრასტრუქტურის ამოქმედება ზრდის ინფორმაციული უსაფრთხოების საფრთხეს. კიბერ- შეტევების, კიბერ ინციდენტების პრევენციისთვის მონაცემთა გაცვლის სააგენტოში მოქმედებს სტრუქტურული ერთეული - კომპიუტერულ ინციდენტებზე სწრაფი რეაგირების ჯგუფი, რომელიც წარმოადგენს ქვეყნის მასშტაბით ინფორმაციულ ინციდენტებზე რეაგირების მთავარ ორგანოს. მონაცემთა გაცვლის სააგენტოს პრეროგატივაა ინფორმაციულ და საკომუნიკაციო უსაფრთხოებასთან დაკავშირებით საერთო სტანდარტებისა და პოლიტიკის შემუშავებაც.

თუ ხართ ახალი მომხმარებელი ან კვლავ გასურთ საინფორმაციო ფურცლის გამოწერა, გთხოვთ გამოაგზავნოთ ელექტრონული შეტყობინება მისამართზე: info@dea.gov.ge და სათაურში მიუთითოთ “Subscribe” ან დაარეგისტრირდით თქვენი ელექტრონული ფოსტის მისამართი ვებ გვერდზე: www.e-government.ge

თუ არ გასურთ, მონაცემთა გაცვლის სააგენტოს საინფორმაციო ბიულეტენის მიღება, გთხოვთ გამოგზავნოთ ელექტრონული შეტყობინება მისამართზე: info@dea.gov.ge და სათაურში მიუთითოთ “Unsubscribe”.